ისაუბრე მშვიდობის ენით!

სიძულვილის ენა დაუშვებელია!

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო

ისაუბრე მშვიდობის ენით!

სიძულვილის ენა დაუშვებელია!

ევროპის საბჭო

ისაუბრე მშვიდობის ენით!
სიძულვილის ენა დაუშვებელია!

© 2020 ევროპის საბჭო. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირში. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემაში შესული მასალის თარგმნა, გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით, ელექტრონული (CDRom, ინტერნეტი და ა.შ.) ან მექანიკური საშუალებით, მათ შორის, ასლის გადაღებით, ჩაწერით ან ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების სხვა ნებისმიერი საშუალებით, კომუნიკაციების დირექტორატის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე (F-67075 Strasbourg Cedex or publishing@coe.int).

ვინმემ თქვენს მიმართ ან თქვენთვის ძვირფასი ადამიანების მიმართ სიძულვილის ენა რომ გამოიყენოს, რას იგრძნობთ? აქვს ვინმეს ჩვენი დისკრიმინაციის ან დამცირების უფლება, ჩვენი იდენტობის გამო? განა ყველას პატივისცემით არ უნდა გვეპყრობოდნენ?

ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფების მიმართ ძალადობისკენ ან დისკრიმინაციისკენ მოწოდება მათი რელიგიის ან რწმენის, კანის ფერის, სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის ან ნებისმიერი სხვა ინდივიდუალური მახასიათებლების გამო, სავარაუდოდ, **სიძულვილის ენად იქნება** მიჩნეული.

სიძულვილი უფრო მეტია, ვიდრე „უბრალოდ სიტყვები“: როგორც ინტერნეტში, ისე მის გარეთ!

სიძულვილის გამოხატვა შესაძლებელია ხდებოდეს ტელევიზიით, გაზეთში, საჯარო შეკრების დროს, სკოლაში, სამსახურში ან სამეზობლოში, ქუჩაში ან ოჯახში, ინტერნეტში, ვებ-გვერდებზე, აპლიკაციებში, ბლოგებზე, სოციალურ მედიაში, იმეილში ან ჩატში. სიძულვილის შემცველი ვიდეოების, გამოსახულებების, სიმღერების, კარიკატურების, ფოტომანიპულაციების და ა.შ. გამო, ინტერნეტი, შესაძლოა, მტრულ გარემოდ იქცეს.



სიძულვილის ენა საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებს

„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით.“

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 1

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი კრძალავს დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს ყველა ადამიანის თანასწორობას. ადამიანის ღირსების დაცვა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, სიძულვილის ენისგან გვიცავს. ეს ნიშნავს, რომ სიძულვილის ენა საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებს. სწორედ ამიტომ, არაერთ ქვეყანაში, სიძულვილის ენის გამოვლინების მძიმე ფორმები კანონით არის აკრძალული.

რა არის დისკრიმინაცია?

ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლებები. დისკრიმინაცია თანასწორობის საპირისპირო ცნებაა. დისკრიმინაციაა, როდესაც ყოველგვარი ობიექტური და გონივრული დასაბუთების გარეშე ადამიანს განსხვავებულად ექცევიან. სიძულვილის ენა მიმართულია როგორც ცალკეული ადამიანების, ისე ადამიანთა ჯგუფების წინააღმდეგ, მათი პიროვნული მახასიათებლების გამო. სიძულვილის ენა ხელს უწყობს ადამიანების გაუცხოებას, მარგინალიზაციას და ლახავს მათ ღირსებას, უფრო ხშირად კი იმ ადამიანების, რომლებიც ისედაც მოწყვლად მდგომარეობაში არიან.

დაიმახსოვრეთ: დისკრიმინაციის ყველა შემთხვევას არ განაპირობებს სიძულვილის ენა, თუმცა, სიძულვილის ენის გამოყენების ყველა შემთხვევა ეფუძნება დისკრიმინაციას, დაშვებას, რომ კონკრეტული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი სხვებზე აღმატებულია.



გამოხატვის თავისუფლება და სიძულვილის ენა

“თავისუფალ სიტყვასა და სიძულვილის ენას შორის ზღვარი უმნიშვნელოა. თავისუფალი სიტყვა ხელს უწყობს დისკუსიას, ხოლო სიძულვილის ენა აქეზებს ძალადობას.“
ნიუტონ ლი, კონტრტერორიზმი და კიბერ-უსაფრთხოება: ინფორმაციის შესახებ
სრულყოფილი ცნობიერება

ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება, ინფორმაციისა და იდეების თავისუფლად გავრცელების და მიღების უფლება. გამოხატვის თავისუფლება არის ადამიანის უფლება და დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით. ეს უფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყველა ადამიანის თვითრეალიზაციაში.

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ისეთი იდეების გამოხატვის უფლებასაც, რომელიც, შესაძლოა, შეიცავდეს კრიტიკას, ან მიჩნეული იყოს შეურაცხმყოფლად, აღმაშფოთებლად ან სადავოდ. თუმცა, გამოხატვის თავისუფლება არ არის უსაზღვრო. სხვა ადამიანების უფლებების დაცვის მიზნით, სახელმწიფოებმა შესაძლოა დააწესონ სანქცია ან აღკვეთონ გამოხატვის ისეთი ფორმები, რომელიც ავრცელებს, ახალისებს, ხელს უწყობს ან ამართლებს სიძულვილს. საჭიროა ბალანსის დაცვა, ერთი მხრივ, ადამიანების მიერ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვასა და, მეორე მხრივ, სხვების უფლებების დაცვას, დანაშაულისა და არეულობის თავიდან არიდებას შორის.

სიძულვილი არ არის მიმართული ერთი ჯგუფის წინააღმდეგ: სიძულვილის ენის სამიზნე, შესაძლოა, აღმოჩნდეს ნებისმიერი!

„იმის მიუხედავად, თუ მსოფლიოს რომელი კუთხიდან მოვდივართ, ჩვენ ვართ ერთნაირი ადამიანები. ჩვენ ყველანი ვეძებთ ბედნიერებას და ვცდილობთ, თავიდან ავიცილოთ ტანჯვა; გვაქვს ერთნაირი ადამიანური საჭიროებები და პრობლემები..“
დალაი ლამა

სიძულვილის ენის სამიზნე, შესაძლოა, იყოს ნებისმიერი ადამიანი. თუმცა, ევროპაში რამდენიმე ჯგუფი სიძულვილის ენის სისტემატური სამიზნეა: ლგბტი ადამიანები, ებრაელები, მუსლიმები ან სხვა რელიგიური ჯგუფები, ქალები, მიგრანტები და ეთნიკური უმცირესობები, ბოშები, სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ა.შ. სამიზნე ჯგუფები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. სიძულვილის ენა სხვადასხვა ტიპის უარყოფით გავლენას ახდენს მსხვერპლზე, სამიზნე და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე, ისევე, როგორც მთლიანად საზოგადოებაზე. ადამიანები სიძულვილის ენის სამიზნეები შესაძლოა გახდნენ ერთზე მეტი ნიშნით - მაგალითად, როგორც ქალები და როგორც მიგრანტები.

განვიხილოთ მაგალითი. COVID-19 პანდემიამ წარმოშვა სიძულვილის ენის, დისკრიმინაციის და სტიგმების ახალი ტალღა. პანდემიის დასაწყისში ვირუსის გავრცელებას აბრალებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც ეთნიკურ ჩინელებად ან აზიელებად, მიგრანტებად და უცხოელებად იყვნენ აღქმულნი. პანდემიამ ასევე შექმნა ახალი მოწყვლადი ჯგუფები: კორონავირუსით ინფიცირებული პირები ხდებიან სოციალური გარიყვის, იზოლაციის, სტიგმისა და სიძულვილის ენის მსხვერპლი.

სიძულვილის ენის გავრცელების რეალური მაგალითები, რომელიც მედიაში პოპულარული გახდა: ინფლუენსერები/ პოლიტიკოსები

იმისათვის, რომ ადამიანთა მთელი ჯგუფი წააქეზო სიძულვილისკენ, საჭიროა მათი დარწმუნება, რომ სხვა ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ბოროტი ან საშიშია.“
პოსტერი: „თანამედროვე სიძულვილი“

როდესაც ვსაუბრობთ სიძულვილის ენაზე, ჩვენ უნდა დავფიქრდეთ, რა გავლენა და ზიანი მოაქვს მას ადამიანებისათვის, ადამიანთა ჯგუფებისათვის და, ზოგადად, საზოგადოებისათვის. ეს გავლენა განსაკუთრებით მძაფრია საჯარო სივრცეში, ვინაიდან საჯარო პირებს ფართო აუდიტორიაზე აქვთ გავლენა. სწორედ ამიტომ, მათ მოეთხოვებათ, რომ თავი შეიკავონ სიძულვილისა და სტიგმატიზაციის ენის გამოყენებისგან და დაგმონ სხვების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.

ნებისმიერი ტიპის სიძულვილის ენა ცუდია, თუმცა, ზოგჯერ ის შესაძლოა განსაკუთრებულად მწვავე იყოს. მაგალითად, სიძულვილის ენის გამოყენების კონკრეტული შემთხვევა, შესაძლოა, იყოს უფრო მეტად შეურაცხმყოფელი, დამაზიანებელი და მეტ ადამიანზე ახდენდეს გავლენას მხოლოდ იმიტომ, რომ სიძულვილის ენის ავტორებს სოციალური მედიის პლატფორმებზე ფართო აუდიტორია ჰყავდეთ. სიძულვილის ენის გამოყენების შედეგად, შესაძლოა, გაიზარდოს მათი მიმდევრების რაოდენობა და ჩართულობა.

აქტივობა: ცუდიდან უარესამდე

განიხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითები. რამდენად ნაცნობია თქვენთვის ისინი? შეგიძლიათ, დაასახელოთ თქვენს ქვეყანაში სიძულვილის ენის გამოყენების მაგალითები? ვინ არიან სამიზნე ჯგუფები? რა გავლენა აქვს სიძულვილის ენას?

"ჰიტლერმა ისინი საკმარისი რაოდენობით არ დახოცა! "

მერის საჯარო განცხადება ადგილობრივი ბოშა მოსახლეობის შესახებ.

"მათ საზოგადოებაში არანაირი წვლილი არ შეაქვთ, გარდა დანაშაულის და გაუპატიურების შემთხვევების ოფიციალური მაჩვენებლის ზრდისა."

კომენტარი ინტერნეტში გამოქვეყნებულ სტატიაზე ევროპაში 2015 წლის ლტოლვილთა კრიზისის შესახებ. კომენტარს 622 მოწონება და კიდევ უფრო მეტი ნახვა ჰქონდა.

"ჰომოსექსუალობა საზიზღარი დაავადებაა, მას უნდა ვებრძოლოთ და შევაჩეროთ."

Facebook-ის ჯგუფიდან, რომელსაც 300-ზე მეტი წევრი ჰყავს.

"თქვენ, ებრაელები, ჩვენს ქვეყანაში არავის დაუპატიჟებიხართ. მაშინ რატომ გვაგრძნობინებთ თავს ცუდად?"

ბლოგ პოსტის ქვეშ დატოვებული კომენტარი. ბლოგ პოსტი გამოხატავდა მწუხარებას ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალზე განხორციელებული ვანდალიზმის ფაქტის შესახებ.

"ქალები კაცებზე ნაკლებ ხელფასს უნდა იღებდნენ, რადგან ისინი უფრო სუსტები და ნაკლებად ჭკვიანები არიან."

ევროპარლამენტის წევრი.

რატომ არის მნიშვნელოვანი სიძულვილის ენასთან ბრძოლა?

"მე ვამჯობინე, სიყვარულს მივემხრო. სიძულვილი ძალზედ მძიმე ტვირთია სატარებლად."
მარტინ ლუთერ კინგი

რატომ უნდა ვიმოქმედოთ სიძულვილის ენის წინააღმდეგ? ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე მიზეზი:

- ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების თავიდან ასაცილებლად
- მშვიდობიანი, ინკლუზიური, დემოკრატიული და სამართლიანი საზოგადოების ხელშეწყობის მიზნით
- ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად
- შეიარაღებული კონფლიქტების, სასტიკი ძალადობრივი ქმედებებისა და სხვა დანაშაულების თავიდან ასაცილებლად.

მნიშვნელოვანია, ვებრძოლოთ არა მხოლოდ სიძულვილის ენის გამოვლინებას, არამედ მის გამომწვევ მიზეზებსაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას უნდა დავუპირისპირდეთ საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთობებისა და დამოკიდებულებების დონეზე. სიძულვილი ასაზრდოებს რასიზმს, სექსიზმს და ნეგატიურ სტერეოტიპებს. თუ ჩვენ მას თავიდანვე არ დავუპირისპირდებით, ის დამკვიდრდება ჩვენს საზოგადოებაში, გაამყარებს სტერეოტიპებს და გადაიზრდება უფრო საშიშ ქმედებებში, მათ შორის, ფიზიკურ ძალადობაში. ამ შემთხვევაში, სიძულვილის ენა გადაიზრდება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულში. ადამიანის უფლებების მასშტაბურ დარღვევებს, როგორიცაა მაგალითად გენოციდი და ეთნიკური წმენდა, წინ უსწრებს ან თან ახლავს სიძულვილის ენა.

აქტივობა: სადამდე მივყავართ სიძულვილის ენას?

სიძულვილის პირამიდა გამოიყენება სიძულვილის ენის შედეგების ასახსნელად; დემოკრატიული ღირებულებების მხარდაჭერისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით, მისი რეგულირების საჭიროების გასააზრებლად. დაფიქრდით თქვენს კონტექსტზე: ხომ არ გეცნობათ პირამიდაში წარმოდგენილი სიძულვილის ენის რომელიმე ფორმა?



წყარო: *Anti-Defamation League*

დაუპირისპირდი სიძულვილის ენას

„მოდით, ნუ დავაკვირდებით, როგორ გამოვიყურებით, რომელ რელიგიას მივსდევთ ან სად ვცხოვრობთ... ნაცვლად ამისა, ერთმანეთი შევაფასოთ ღირებულებების, ჰუმანურობის, სიკეთის, ურთიერთკავშირის შინაგანი გრძნობის მიხედვით; იმ რწმენის მიხედვით, რომ ჩვენ არა მხოლოდ ჩვენს სახლზე და ჩვენს პლანეტაზე, არამედ, ერთმანეთზეც უნდა ვიზრუნოთ.“
ჯასინდა არდერნი, ახალი ზელანდიის პრემიერ მინისტრი

ყველას შეუძლია, სიძულვილის ენას დაუპირისპირდეს. ვნახოთ, როგორ.

სიძულვილის ენას უნდა დავუპირისპირდეთ სიყვარულით, თანაგრძნობით და სიმტკიცით. ამან, შესაძლოა, სრულად არ აღმოფხვრას სიძულვილის ენა, თუმცა, რაც უფრო მეტ ნაბიჯს გადავდგამთ ადამიანების განათლებისა და მხარდაჭერისთვის და რაც უფრო მეტად დავგმობთ უსამართლობას, მით უკეთესი გახდება მსოფლიო. თუ ჩვენ კოლექტიურად ვუპასუხებთ სიძულვილის ენას, ის არ დამკვიდრდება ნორმად!

სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში ძალა ერთობაშია



ზოგიერთი ადამიანი სიძულვილს უპირისპირდება, რომ ხელი შეუწყოს საზოგადოების წევრების დაახლოებას, ერთმანეთის უკეთ გაცნობას და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ თანაცხოვრებას; ზოგი სიძულვილის ენას საწინააღმდეგო არგუმენტებით უპირისპირდება; სხვები უზრუნველყოფენ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, რათა ისინი პატივისცემით მოექცნენ განსხვავებულ ადამიანებს; ზოგიერთი ადამიანი სიძულვილის სამიზნე ჯგუფების მიმართ სოლიდარობას და მხარდაჭერას იჩენს; სხვები კი აპროტესტებენ უსამართლობას და ამისათვის საპირისპირო ნარატივებს იყენებენ; ზოგიერთი ორგანიზაცია მონიტორინგს უწევს სიძულვილის ენის შემთხვევებს; ზოგიერთ ადამიანს სასამართლოში შეაქვს სარჩელი სიძულვილის ენის წინააღმდეგ; ზოგიერთი დაწესებულება სანქციებს აკისრებს სიძულვილის გამავრცელებელ სატელევიზიო არხებს და სოციალურ მედიასაც კი. წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, რომ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ადამიანებს სხვადასხვა ქმედებების განხორციელება შეუძლიათ, მანამდეც კი, სანამ სიძულვილის ენის გამოყენებას ექნება ადგილი!
სიძულვილის ენასთან საბრძოლველად უნდა გავერთიანდეთ: პოლიტიკოსები, სამოქალაქო საზოგადოება, განათლების სფეროს მუშაკები, მედია, რელიგიური გაერთიანებები, ახალგაზრდები, პოლიცია და ა.შ.
ხშირად სამოქალაქო საზოგადოებაა შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ადრეული ნიშნების ამოცნობის და მათთან ბრძოლის წინა ხაზზე.
სამოქალაქო საზოგადოება:

- სიძულვილის ენასთან საბრძოლველად ახდენს ადვოკატირებას მთავრობის წინაშე - მაგალითად, კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით;
- ახდენს სიძულვილის ენის შემთხვევების შეტყობინებას;
- არის მსხვერპლის ხმა და უწევს მათ იურიდიულ დახმარებასა და კონსულტაციას;
- უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას, ცნობიერების ამაღლებას და აწარმოებს კამპანიებს სიძულვილის ენასთან საბრძოლველად.

სიძულვილზე რეაგირება

„ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს არ დავეთანხმოთ, მაგრამ მაინც გვიყვარდეს ერთმანეთი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს უთანხმოება ეფუძნება ჩემს ჩაგვრას, ჩემი ადამიანურობის და არსებობის უფლების უარყოფას.“
ჯეიმს ბოლდვინი

უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის უფლებები არის საყოველთაო, განუყოფელი, ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთდამოკიდებული და შეუცვლელი ნებისმიერი ადამიანისთვის, მათთვისაც, ვინც იყენებს ან ხელს უწყობს სიძულვილის ენას! ზოგჯერ ადამიანები განცხადებებს აკეთებენ დაუფიქრებლად, განსაკუთრებით, ონლაინ სივრცეში, ან უნებლიედ აყენებენ სხვებს შეურაცხყოფას, რასაც მოგვიანებით ნანობენ და ხშირად უკან მიაქვთ ნათქვამი სიტყვები. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, სიძულვილის ენის გავრცელება ხდება განზრახ, მაგალითად, სიძულვილის წამახალისებელი კამპანიის ფარგლებში.

სიძულვილის ენაზე რეაგირებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ‘სიძულვილი’ გარკვეულ სპექტრს მოიცავს. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის ნებისმიერი გამოხატვა დასაგმობია, ერთი შემთხვევა, შესაძლოა, მეორეზე უარესი იყოს (უფრო შეურაცხმყოფელია, უფრო მეტ ადამიანზე ახდენს გავლენას, უფრო მეტად ახალისებს სიძულვილს, უფრო მეტად დამაზიანებელია და ა.შ.). სიძულვილის ენაზე რეაგირებისას გასათვალისწინებელია გამოხატული სიძულვილის სიმძიმე.

ამავდროულად, სიძულვილის ენაზე რეაგირებისას უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი არგუმენტები არ ლახავს სხვა ადამიანების უფლებებს და არ ახდენს სხვების დეჰუმანიზებას. სიძულვილზე სიძულვილით პასუხი არ არის პრობლემის გადაჭრის გზა.

10 სასარგებლო სტრატეგია ყოველდღიურ ცხოვრებაში სიძულვილის ენასთან საბრძოლველად

„ჩვენ ყველას დაბადებიდან გვაქვს როგორც აგრესიის, ისე თანაგრძნობის გამოხატვის უნარი. ის, თუ რომელ მათგანს მივემხრობით, დამოკიდებულია ინდივიდების, ოჯახების, საზოგადოების და ზოგადად, ჩვენი კულტურის გონივრულ არჩევანზე. სიძულვილის დაძლევის გასაღები განათლებაშია: სახლში, სკოლებში და საზოგადოებაში.“
ფსიქოლოგი ბერნარდ გოლდენი

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როდესაც ნახავთ სიძულვილის შემცველ გზავნილს? რომელი სტრატეგიები მუშაობს ან არ მუშაობს? როგორ უნდა ვუპასუხოთ სიძულვილს? გადახედეთ ქვემოთ წარმოდგენილ სასარგებლო რჩევებს!

• გამოთქვით მოსაზრება და მკაფიოდ განმარტეთ, რომ არ ეთანხმებით:

თქვით, რომ არიან ადამიანები, რომლებიც მსგავს განცხადებებს არ შეეგუებიან. გაჩუმება შესაძლოა ნიშნავდეს, რომ თქვენ მათ ეთანხმებით. შედეგად, გაგრძელდება სიძულვილის გავრცელება... შეგიძლიათ, სიძულვილის ენის ავტორს ჰკითხოთ, რატომ ამბობს ასეთ რამეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ თქვენ პირადად იცნობთ მას. მსგავსი კითხვების დასმა სიძულვილის ენის ავტორს აიძულებს, დაფიქრდეს საკუთარ განცხადებებზე.

• სიძულვილის ენას არ უპასუხოთ შეურაცხმყოფელი ენითა და ისეთივე ტონით, როგორითაც სიძულვილის შემცველი გზავნილი იყო ნათქვამი:

არ არის სწორი შურისძიება ან შეურაცხმყოფელი პასუხის გაცემა, მაშინაც კი, თუ არსებული სიტუაცია განსაკუთრებით მტკივნეულია თქვენთვის. თქვენი სამიზნე უნდა იყოს განცხადების შინაარსი და არა მისი ავტორი!

• გამოიჩინეთ თანაგრძნობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სიძულვილის ენის სამიზნე არიან:

დაანახეთ, რომ თქვენი აზრით სიძულვილის ენა არის მიუღებელი და შეურაცხმყოფელი. გარდა მხარდაჭერისა, თქვენი გზავნილი მსხვერპლს დაეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ იგი არ უნდა შეეგუოს სიძულვილს და მომხდარი შესაბამის ორგანოებს უნდა შეატყობინოს.

• შეასწორეთ ცრუ ინფორმაცია:

თუ თქვენ გაქვთ არასწორი ინფორმაციის შესწორების საშუალება, მოიქეცით ასე და მცდარ განცხადებებს ფაქტებით დაუპირისპირდით! შესაძლოა სიძულვილის ენის ავტორი ვერ გადაარწმუნოთ, თუმცა თქვენ შეძლებთ მსმენელებისა თუ მკითხველების დარწმუნებას.

• საჭიროების შემთხვევაში, წაშალეთ:

თუ თქვენ არ გსურთ, პირდაპირ უპასუხოთ სიძულვილის ენას, შეგიძლიათ, სიძულვილის ენის შემცველი ონლაინ შინაარსი სოციალურ მედიას შეატყობინოთ ან წაშალოთ პოსტი, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი თქვენს კედელზე ან გვერდზეა განთავსებული. შეატყობინეთ ონლაინ პლატფორმას (სოციალურ მედიას, ფორუმს). თუკი მათ არ ექნებათ მსგავსი შინაარსის შესახებ ინფორმაცია, ისინი ვერაფერს მოიმოქმედებენ. თავი შეიკავეთ სიძულვილის შემცველი კონტენტის გაზიარებისგან, რადგან ამით სიძულვილის შემცველ გზავნილს კიდევ უფრო პოპულარულს და ფართოდ ხელმისაწვდომს გახდით.

• არ ჩაიკარგოთ უსასრულო დისკუსიებში:

მშვიდად გამოხატეთ თქვენი უკმაყოფილება და დააფიქსირეთ, რომ გამონათქვამს არ ეთანხმებით. თქვენი სათქმელი უნდა იყოს მოკლე და, ამავდროულად, ძლიერი.

• ისწავლეთ და ისაუბრეთ მრავალფეროვნების, თანასწორობის, ინკლუზიის შესახებ:

რაც უფრო მეტი ადამიანი მიიღებს ინფორმაციას ამ საკითხებზე, მით მეტად შევძლებთ სიძულვილის ენის პრევენციას.

• იყავით მოხალისე ადამიანის უფლებების დამცველი, იყავით პროაქტიული:

გაწევრიანდით ადამიანის უფლებების დამცველ ონლაინ ჯგუფებსა და ორგანიზაციებში. მოიძიეთ ინფორმაცია იმ ადგილობრივი ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც, მაგალითად, ინკლუზიის, დემოკრატიული ღირებულებების, მშვიდობის, რასიზმთან, სექსიზმთან და დისკრიმინაციასთან ბრძოლის სფეროში მუშაობენ და შეუერთდით მათ ძალისხმევას.

• სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები შესაბამის ორგანოებს შეატყობინეთ:

იმ შემთხვევაში, თუ ეს ნაბიჯები ეფექტური არ აღმოჩნდა და თქვენ თვლით, რომ თქვენს სიცოცხლეს და უსაფრთხოებას საფრთხე ემუქრება, ამის შესახებ შესაბამის ორგანოებს შეატყობინეთ.

• არ დაკარგოთ იმედი:

სიძულვილი ღრმად და მყარად არის ფესვგადგმული და მიუხედავად თქვენი ძალისხმევისა, სიძულვილის ენის საფრთხეები მაინც იარსებებს. მნიშვნელოვანია, რომ გააგრძელოთ მოქმედება და შეუერთდეთ სხვა ადამიანების ძალისხმევას სიძულვილის ენის წინააღმდეგ.

როგორ ებრძვის ევროპის საბჭო სიძულვილის ენას

„ევროპის საბჭოს მიზანია, მიაღწიოს უფრო დიდ ერთობას მის წევრებს შორის...“
ევროპის საბჭოს წესდება, მუხლი 1

ევროპის საბჭო 1949 წელს დაარსდა და 47 წევრი სახელმწიფოსგან შედგება. იგი ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებების სხვა კონვენციებზე და დოკუმენტებზე დაფუძნებულ საერთო და დემოკრატიულ პრინციპებს.

სიძულვილის ენასთან საბრძოლველად, ევროპის საბჭომ:

- მიიღო ადამიანის უფლებათა სტანდარტები, ხოლო ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საქმეები და შექმნა შესაბამისი პრეცედენტული სამართალი, რომელიც ყველა წევრ სახელმწიფოზე ვრცელდება.
- ევროპის საბჭოს სხვადასხვა ორგანოებმა მიიღეს რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც ქვეყნებს სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და მსხვერპლთა მხარდაჭერის კუთხით ეხმარება. ევროპის საბჭომ სიძულვილის ენის განმარტება ჯერ კიდევ 1997 წელს მიიღო.
- რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) მეშვეობით მონიტორინგს უწევს რასიზმის, ქსენოფობიის, ანტი-სემიტიზმის, შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის შემთხვევებს წევრ სახელმწიფოებში. ECRI-მ მოამზადა სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია No.15, რომელიც წევრ სახელმწიფოებს სთავაზობს პრობლემასთან ბრძოლის სახელმძღვანელო პრინციპებს.
- მხარს უჭერს შესაბამისი პოლიტიკის განვითარებას და სახელმწიფო ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს სთავაზობს ტრენინგებს სიძულვილის ენასთან ბრძოლის თემაზე, მაგალითად, სიძულვილის ენასთან ბრძოლის და თანამშრომლობის განყოფილების საქმიანობის საშუალებით.
- სიძულვილის ენასთან ბრძოლის მიზნით ატარებს კამპანიებსა და საგანმანათლებლო აქტივობებს, - მაგალითად, ახალგაზრდული კამპანია „მოძრაობა არა სიძულვილის ენას“.

ევროკავშირი და ევროპის საბჭო, ერთობლივი თანამშრომლობის პროგრამების ფარგლებში, როგორებიცაა, მაგალითად, პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების და თურქეთის ჰორიზონტალური მხარდაჭერა, დახმარებას უწევენ ბენეფიციარებს დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით რეფორმების განხორციელებაში; ასევე, მსხვერპლთა დაცვისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდაში და ამ თემაზე ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში.

- ქმნის საგანმანათლებლო მასალებს, მაგალითად “Bookmarks” და “WE CAN”. ეს მასალები ეხმარება დარგის ექსპერტებს, იმუშაონ ახალგაზრდებთან სიძულვილის ენის საკითხებზე ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და საპირისპირო ნარატივების შეთავაზების გზით.
- ებრძვის დისკრიმინაციას სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად: განათლება, სპორტი, ბოშათა უფლებები, გენდერული თანასწორობა, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, მედია და ინტერნეტ მმართველობა, დასაქმება, სექსისტურ სიძულვილის ენასთან ბრძოლა, და ა.შ.

„მოძრაობა არა სიძულვილის ენას“ არის ევროპის საბჭოს ახალგაზრდული კამპანია, რომელიც ხორციელდებოდა ევროპის მასშტაბით. კამპანიის ფარგლებში არაერთი ადამიანი და ორგანიზაცია ახორციელებდა ისეთ ახალგაზრდულ საგანმანათლებლო აქტივობებს, როგორიცაა: ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენასთან ბრძოლა და ადამიანის უფლებების დაცვა; დისკუსიები სიძულვილის ენასთან ბრძოლის თემაზე ადამიანის უფლებათა აქტივისტების მონაწილეობით; სიძულვილის ენის შემთხვევების შეტყობინება სოციალური მედიის და შესაბამისი ორგანოებისათვის; თემატური ონლაინ სამოქმედო დღეების ჩატარება, სიძულვილის ენის სამიზნე ჯგუფების შესახებ ადამიანების ინფორმირების მიზნით. კამპანიის მონაწილე არაერთი ორგანიზაცია კამპანიის დასრულების შემდეგაც აგრძელებს საქმიანობას, მაგალითად, ქსელი „არა სიძულვილის ენას“.

ეძებთ შთაგონებას, როგორ ებრძოლოთ სიძულვილის ენას? გაეცანით მაგალითებს: www.coe.int/en/web/no-hate-campaign

სასარგებლო ბმულები:

ევროპის საბჭოს ვებ-გვერდი: www.coe.int

ევროპული კომისია რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ: www.coe.int/ecri

ევროპის საბჭოს ინკლუზიისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის განყოფილება: www.coe.int/en/inclusion-and-antidiscrimination

ბროშურა მიმოიხილავს სიძულვილის ენის ცნებებს, მის გამოვლინებებსა და იმ რისკებს, რომელსაც ის ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას უქმნის. ბროშურა განკუთვნილია ნებისმიერი ადამიანისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის და ზოგადად, ყველა დაინტერესებული პირისთვის, ვისაც სურს უკეთ გაიგოს სიძულვილის ენის ფენომენი და იმოქმედოს მის წინააღმდეგ. ბროშურა მკითხველს სთავაზობს სიძულვილის ენის შესახებ განმარტებებს, მისი პრევენციისა და ბრძოლის გზებს.

წინამდებარე ბროშურა მომზადდა ევროკავშირის და ევროპის საბჭოს მიერ თანადაფინანსებული ერთობლივი პროგრამების, პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის (PGG) და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების და თურქეთის ჰორიზონტალური მხარდაჭერა (HF), ფარგლებში, კერძოდ - ინიციატივა „დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში მრავალფეროვნებისა და თანასწორობის ხელშეწყობა“ (HF) და პროექტი „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დისკრიმინაციის, სიძულვილის ენის და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთათვის არა-სამართლებრივი დაცვის მექანიზმების საშუალებით მართლმსაჯულებაზე წვდომის განმტკიცება“. წინამდებარე დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები არ ასახავს რომელიმე მხარის ოფიციალურ მოსაზრებას.

ევროპის საბჭო კონტინენტის წამყვანი ადამიანის უფლებათა ორგანიზაციაა, რომელიც შედგება 47 სახელმწიფოსგან. მათ შორისაა ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფო. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის იმპლემენტაციას ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

www.coe.int

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, ერთმანეთს დაუკავშირონ თავიანთი ნოუ-ჰაუ, რესურსები და ბედი. ერთად, მათ ააშენეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა და ამასთანავე, შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ინდივიდუალური თავისუფლებები. ევროკავშირი მზადაა, საკუთარი მიღწევები და ღირებულებები გაუზიაროს ქვეყნებსა და ადამიანებს მის საზღვრებს გარეთ.

www.europa.eu

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო